არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

,,მედიააკადემია“

წ ე ს დ ე ბ ა

თბილისი

2018

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. მედიააკადემია (შემდგომში - აკადემია) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს კანონის ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ და საქართველოს კანონის ,,მაუწყებლობის შესახებ“ შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

2. აკადემია წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. აკადემიის სახელწოდება: მედიააკადემია.

4. აკადემიის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

5. აკადემიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის/ბოჭორმის ქ. №50/18.

6. აკადემიის ელექტრონული მისამართი: mediaacademia@gncc.ge

7. აკადემიას აქვს საანგარიშსწორებო და სხვა სახის, მათ შორის, სავალუტო ანგარიშები ბანკში, ბეჭედი, შტამპი და ბლანკი თავისი სახელწოდებით, ვებგვერდი, ასევე, ემბლემა, რომელსაც ამტკიცებს დამფუძნებელი.

8. აკადემია არ არის დაფუძნებული წევრობაზე.

9. აკადემია საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. მისი მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა. აკადემიის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. აკადემიის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი პასუხს არ აგებს. აკადემია თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ვალდებულებებისათვის პასუხს არ აგებს.

10. აკადემია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე, მის ფარგლებს გარეთ.

11. აკადემია უფლებამოსილია საჯარო ინსტიტუტებთან, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროებში შესაბამისი ბაზრების მონაწილეებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან და სხვა ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნების ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან, უცხოურ და საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან დადოს ხელშეკრულებები და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად.

12. აკადემიას უფლება აქვს გაწევრიანდეს სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათ შორის, ასოციაციებში, კავშირებში, საერთაშორისო საზოგადოებრივ (არასამთავრობო) ორგანიზაციებში, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო ურთიერთობები, დადოს შესაბამისი შეთანხმებები, სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით შექმნას მედიაწიგნიერების განვითარების ქსელი/პლატფორმა, ვებგვერდი, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 2. მიზნები

1. საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობა.

2. ლიდერობის, კოორდინაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის.

3. მედიაწიგნიერების კვლევითი პროგრამების შემუშავება.

4. მედიაწიგნიერების ეროვნული ქსელის/პლატფორმის შექმნა და მხარდაჭერა.

5. კვლევებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მედიაწიგნიერების სტრატეგიული განვითარების ბაზის შექმნა.

6. მრავალფეროვანი მედიასაშუალებებისა და ტექნოლოგიური მედიაპლატფორმების, აგრეთვე ინტერნეტის ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენების, ინფორმაციის და სხვა მედიაპროდუქტების შექმნაში, მიღებაში, დამუშავებასა და გადაცემაში ინტერაქტიული მონაწილეობის და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

7. ინფორმაციის აღქმის, მისი კრიტიკული შეფასების, ყალბი ინფორმაციის გამორჩევის და გააზრებული არჩევანის გაკეთების უნარის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

8. ტექნოლოგიური მედიაპლატფორმებისა შექმნის და გამოყენების შესახებ სპეციალური ცოდნის და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

9. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მათ შორის, საინფორმაციო საზოგადოების განვითარების შესახებ მონაცემების კვლევა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

10. მედიაგარემოსა და მედიასაშუალებათა განვითარების კვლევა და ანალიზი.

11. ციფრულ მედია კონტენტსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და პოტენციური საფრთხეების შესახებ ცნობადობის ამაღლება.

მუხლი 3. საქმიანობის ფორმები

1. საზოგადოებაში მედიაწიგნიერების მდგომარეობის შეფასების, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება.

2. მედიაწიგნიერებასთან დაკავშირებით საჯარო ღონისძიებების (ტრენინგები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და ა.შ.) ჩატარება.

3. დაინტერესებული პირების მონაწილეობით მედიაწიგნიერების განვითარების ეროვნული ქსელის/პლატფორმის შექმნა.

4. კვლევების შედეგების, ანგარიშების, საინფორმაციო ბროშურების, ბიულეტენების და სხვა მსგავსი პროდუქციის გავრცელება, საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

5. მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებო საქმიანობის განხორციელება, სასწავლო-საგანმანათლებლო სამაუწყებლო პროდუქციის შექმნა და გავრცელება.

6. საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, ასევე, სხვა ჯგუფებისათვის (ბავშვები და მათი მშობლები, მასწავლებლები და სხვა) სპეციალური სასწავლო კურსების ჩატარების/პროგრამების განხორციელება.

7. დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის, მედიის წარმომადგენლებისთვის, სტუდენტებისთვის სპეციალური, უფასო/ფასიანი სასწავლო კურსების ჩატარების/პროგრამების განხორციელება.

8. მედიის პროფესიონალთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა მედიაწიგნიერების მიმართულებით, მათ შორის გზამკვლევების, კოდექსებისა და მეთოდოლოგიების შექმნა და გავრცელება.

9. ციფრული მედიის მოხმარების წახალისება და უსაფრთხო გამოყენების ხელშეწყობა.

10. საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტების მხარდაჭერა/დაფინანსება.

11. მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით საკანონმდებლო წინადადებების მომზადება.

12. თანამშრომლობა მედიაწიგნიერების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

13. სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით და რომელიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ ემსახურება აკადემიის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 4. დამფუძნებელი

1. აკადემიის დამფუძნებელი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში - დამფუძნებელი). სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის

გამზ./ბოჭორმის ქუჩა №50/18. საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050. თავმჯდომარე: კახი ბექაური

2. დამფუძნებლის კომპეტენციას განეკუთვნება:

2.1. აკადემიის წესდების მიღება და მასში ცვლილებების შეტანა.

2.2. აკადემიის ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების შემოწმების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სარევიზიო კომისიის შექმნა ან აუდიტის მოწვევა.

2.3. აკადემიის საქმიანობის შეწყვეტის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

2.4. აკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებასთან ან გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

2.5. აკადემიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის, განსახორციელებელი პროგრამების, პროექტებისა და საქმიანობის მიმართულებების დამტკიცება.

2.6. აკადემიის ბიუჯეტის, ორგანიზაციული სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და თანამშრომელთა სახელფასო ბადის დამტკიცება.

მუხლი 5. აღმასრულებელი დირექტორი

1. აკადემიის საქმიანობას ხელმძღვანელობს და წარმოადგენს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე).

2. აღმასრულებელ დირექტორთან იდება ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე.

3. აღმასრულებელი დირექტორი:

3.1. მოქმედებს აკადემიის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3.2. შეიმუშავებს და დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმას, განსახორციელებელ პროგრამებსა და აკადემიის საქმიანობის მიმართულებების განსახორციელებელ პროექტებს.

3.3. შეიმუშავებს და დამფუძნებელს დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის ბიუჯეტს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და თანამშრომელთა სახელფასო ბადეს.

3.4. გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს დამფუძნებელს.

3.5. განკარგავს აკადემიის ფულად სახსრებს და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას.

3.6. აკადემიის სახელით დებს ხელშეკრულებებს და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს საჯარო ინსტიტუტებთან, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ პირებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან და სხვა ორგანიზაციებთან, აგრეთვე უცხო ქვეყნების ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან, უცხოურ და საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის შესასრულების მიზნით.

3.7. ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიაში დასაქმებულებს, ხოლო თავმჯდომარესთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.

3.8. ზედამხედველობს აკადემიის შინაგანაწესისა და ეთიკის წესების დაცვას და საჭიროების შემთხვევაში იღებს საჭირო ზომებს.

3.9. თავისი ბრძანების საფუძველზე, თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ნიშნავს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს საპატიო მიზეზით (მივლინება, ავადმყოფობა და ა.შ.) სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

4. აღმასრულებელ დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულება ძალაში შედის კომისიისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით;

5. აღმასრულებელ დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს რომელიმე ქვემოთ მითითებული საფუძვლით:

5.1. ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

5.2. აღმასრულებელი დირექტორის გარდაცვალებით ან ორგანიზაციის ლიკვიდაციის დაწყებით;

5.3. დამფუძნებლის ან აღმასრულებელი დირექტორის მიერ ცალმხრივად, ნებისმიერი მიზეზით ან უმიზეზოდ, მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, შეწყვეტამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე მაინც;

5.4. დამფუძნებლის მიერ დაუყოვნებლივ, აღმასრულებელი დირექტორისათვის ხელშკრულების შეწყვეტის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით:

ა) თუ აღმასრულებელი დირექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 2 თვეზე მეტი ვადით ვერ ასრულებს თავის მოვალეობას;

ბ) თუ აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან ადგილი აქვს წესდებით ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობას, უფლებამოსილების გადამეტებას ან ორგანიზაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო ქცევას.

მუხლი 6. ქონება

1. აკადემიის ქონება იქმნება დამფუძნებლის დაფინანსების, დამფუძნებლის მიერ გადაცემული ქონების, შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

2. აკადემიის ქონება შეიძლება მოხმარდეს მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

3. აკადემია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს აკადემიის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება აკადემიის დამფუძნებელს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

4. აკადემიის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება აკადემიის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას.

მუხლი 7. აკადემიის საქმიანობის შეწყვეტა, ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. აკადემიის საქმიანობის შეწყვეტა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. აკადემიის საქმიანობის შეწყვეტა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს დამფუძნებელი. აკადემიის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება ან გადაცემა შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება აკადემიის დამფუძნებელს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6. თუ აკადემიის დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო აკადემიის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ აკადემიას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ

ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ მისი მიღების მომენტიდან.

2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.